



საზოგადოება

საგაზეთო ჩანართი №4

საგაზეთო ჩანართი „სამოქალაქო საზოგადოება“ კვლავ თქვენს წინაშეა, რომელიც პროექტის „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“ ფარგლებშია მომზადებული. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი „გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“** პარტნიორობით.

პროექტის მიზანია **ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, მოსახლეობის ინფორმირების ახალი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.**

ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს თვითმმართველობის საქმიანობით დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნა. **გაფორმებული**

ანკეტა-მემორანდუმზე დაყრდნობით ინფორმაცია დაინტერესებული პირების შესახებ აისახება შესაბამის მონაცემთა ბაზაში, სადაც თითოეული პირის შესახებ მითითებული იქნება მობილურის ნომერი და ინტერესთა სფეროები თვითმმართველობის მიმართულებით.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, კომისიების თუ საკრებულოს სხდომების დანიშნვიდან 1-2 დღით ადრე, საკრებულო მოახდენს შესაბამისი ინტერესთა ჯგუფებისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) დაგზავნას, სხდომების დღის წესრიგის შესახებ, თარიღის, დროის, ადგილის მითითებით.

მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირება შეგიძლიათ **ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებზე: <http://www.lanchkhuti.org.ge/>; <http://chokhatauri.ge/>**

წინამდებარე ნომერში გთავაზობთ პუბლიკაციას, რომელიც მოვამზადეთ, ჰაინრიხ ბოლის ფონდის, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს მიერ თამთა მელაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნიდან – **„პატო მიქელაძე – ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები“**, ასევე კვლავ ვაგრძელებთ პუბლიკაციებს **„სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“** მიერ გამოცემული **ალმანახიდან – „სამოქალაქო საზოგადოება“**. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე.

ლევან მყავანაძე,
პროექტის კოორდინატორი

პატო მიქელაძე (1877 – 1942)

ქართველი ფემინისტი, საზოგადო მოღვაწე

ქალები და პოლიტიკური პარტიები

ისათვის, რომ მას თავის მამისაგან ეს გრძნობა არ ქონოდა ჩანერგილი?

ახალი მთავრობა უფრო ღრმად ჩაუკვირდა ქალთა საკითხს, დააფასა შრომა და ღვაწლი თავგანწირული რევოლუციონერ ქალებისა, რომელნიც მამაკაცებთან ერთად სარჩობელაზედ და კატორღაშიც მიდიოდნენ, ციხეებში და შორეულ ციმბირში დღეებს ლევდნენ. გავიხსენოთ: კონოპლიაკოვა, გინსბურგი, პეროვსკაია, გელფმანი, ზასულჩი, ვოლკენშტეინი, სპირდონოვა და ყველაზე ცნობილი და პატივცემული ბებია რევოლუციონერ ბრეშკოვსკაია და სხვანი მრავალნი, რომელთა სახელი პოლიციის მეოხებით დაკარგულა. ქალების დღევანდელი მონაწილეობა ომში, დიდი ამაგიც უკვე დააფასა მთავრობამ და იცნო ქალების ღვაწლი სასარგებლოთ და აგრეთვე მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და მიანიჭა არჩევნების უფლება. ჩვენი პარტიები ამ მოვლენას სხვანაირათ შეხვდნენ: ქალების არჩევნების უფლება თავის სასარგებლოთ გამოიყენეს, ჩვენი უფლების განხორციელებას ცხოვრებაში წინ აღუდგნენ და ყველგან ქალების გაყვანას გზას უღობავდნენ, როგორც შეეძლოთ. ეს დაიწყო პირველ დღიდან გათავისუფლებისა, როდესაც ქალაქის კომიტეტები დაარსდა. კავკასიის ქალთა საზოგადოებამ მიმართა კომიტეტს, რათა ქალებიც მიეღოთ თავის წრეში. კითხვის გარჩევაც არ იკადრეს,

ისეთი ცივი უარით გამოისტუმრეს. მერმე ქართველი ქალების საზოგადოებამ ამავე წინადადებით მიმართა მათ, ესენიც უარით გამოისტუმრეს. ამის შემდეგ ქალთა საზოგადოების შეერთებულმა კომისიამ კომისარიატს თხოვნა გაუგზავნა შემოსხენებული თხოვნით. პასუხის ღირსადაც არ გახადეს. ქალების უბნის კომიტეტშიც ქალის გაყვანას ხელს უშლიდნენ და ყოველი ამის შემდეგ, რა გასაკვირელია, რომ ქალაქის 120 ხმოსანთა შორის მარტო 5 ქალი გასულიყო. არის იმედი, რომ დამფუძნებელ კრებაში კავკასიიდან ერთ ქალსაც არ გაგზავნიან. ქალაქის ხმოსნების არჩევნების დროს ყველა პარტიამ თავის კანდიდატების სიაში ქალი სწორეთ იმ ადგილას ჩასწერა, რომლის შემდეგ თავის კანდიდატის გაყვანის იმედი არ ჰქონდათ. ეს შეგნებულმა ქალებმა ძალიან კარგათ იცოდნენ, მაგრამ რა ექნათ? სიას კომიტეტი ადგენდა, სადაც თავიდან ქალები არ დაუშვებენ. განა, ქალებს არ შეეძლოთ ქალაქისთვის სარგებლობა მოეტანათ, რომ ესენი ოცი, ან მეტი არ გაეყვანათ? ვის, თუ არა ქალს ანუხებებს ეხლანდელი სიძვირე, სასურსათო საქმის მოუწყობლობა? ვის, თუ არა ქალს უღრენს გულს პატარა შვილების ტირილი, როდესაც ესენი შიმშილს, ტკივილს, ან სიცივეს გრძნობენ? მარა ვინ აქცევს ამას ყურადღებას? ქალს ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც, რომ იმისთანა კითხვებში,

როგორც არის სწავლა-განათლება, მედიცინა, სანიტარია, სასურსათო საქმე, სარგებლობა მოიტანოს და არც სხვა საქმეებში იქნებოდენ უფარგისი. ქალი, როგორც ფუტკარი პატიოსანი, წყნარი და დაულალავი მუშაა. ეს მისი თვისება ყველასგან ცნობილია და მამინ, რათ მოხდა, რომ ჩვენმა პარტიებმა გულზე ხელი კრეს ქალს? ერთადერთი, მამაკაცური ეგოიზმი იყო ამის მიზეზი. მათ არ უნდათ ქალი თავის სწორათ ჩასთ ვალონ. ამ თავისი მალულს აზრს რეაქციონური სიტყვებით ფარავენ: „ჯერ ადრეა, ქალები პოლიტიკურად მოუზადებლები არიანო“. რატომ ამ პასუხს არ აძლევენ მუშებს, გლეხებს? არა მგონია, რომ იმათ ქალებზე მეტი მომზადება ჰქონდეთ. განა, ადამიანს შეუძლია ცურვა ისწავლოს, თუ წყალში არ ჩავა? ქალები როგორ მოეზადებიან პოლიტიკურათ, თუ მათ ამ პოლიტიკას ჩამოაშორებენ? ჩვენი მამაკაცების პასუხი მოგვაგონებს რეაქციონურ თავად-აზნაურობას ბატონყმობის გადაგდების დროს, რომლებიც გლეხებს მოუზადებლათ თვლიდნენ თავისუფლებისთვის. ასეთ ლაპარაკობდნენ ზანგების პატრონები ზანგებზე. ყველას ესმოდათ კარგათ, ვისთვის შესტკიოდათ მათ გული. მაგრამ ნუ დაგა-ვინყდებათ, რომ ერს, ხალხს, საზოგადოებას, მარტო მამაკაცები არ შეადგენენ და თუ ერთ მხარეს, ეგოისტურად გატაცებულს, მანაც უნდა მეორე ნახევარზე იბატონოს, ბატონყმობა ორივეს დალუპავს. ეს სურვილი ბატონობის პოლიტიკურ პარტიებსაც დაედვა სარჩულათ. თითქ-ულს პარტიას ის სურს, რომ გაბატონდეს სხვებზე. ამიტომაც, არაფერს არ ერიდება, რომ მონინააღმდეგე დაამარცხოს. ქალები, რომ მესამედი იყვეს პარტიებში, უფრო მყუდრო და შეთანხმებული და ნაყოფიერი იქნებოდა მუშაობა, რასაც ვხედავთ შევცია-ნორვეგიაში და ავსტრალიაში, სადაც ერთად, ამხანაგურათ მუშაობენ. ეს შეთანხმება დღესდღეობით ჩვენი პარტიებისთვის ძალიან საჭიროა.



ქალი პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს, ვიდრე მამაკაცი. ამაში დამნაშავე ქალი კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომელიც მამაკაცმა შექმნა. მან მთელი ოჯახის ტვირთი ქალს მოახვია თავზე, თან ისეთი მძიმე საქმე, როგორც არის მოუზადებლათ შვილების აღზრდა. მამაკაცები, რომ მორჩება მუშაობას, ან სამსახურის მერმე თავისუფალ დროს, თავის გემოვნებისდაგვარათ მოიხმარს. ქალი კი, რომელიც მსახურობს, რაც უნდა ბევრი ჯამაგირი ჰქონდეს და ამავე დროს ქმარსაც ეხმარებოდეს (ფულით), ოჯახის საქმეს მანაც ვერ იშორებს თავიდან. მამაკაციც სულ ამას ჩასჩინებს, რომ ქალის მოვალეობაა ოჯახს მოუაროს და შვილებს. ამიტომაც, რაც უნდა ნიჭიერი და დიდი მცოდნე იყოს ქალი, იმას თუ ქმარი თანამოაზრე არა ჰყავს, ის საზოგადოებისთვის მკვდარია. ეველინა პანკტერსტი, ბერტა ზუტენერი, თუნდაც ქ-ნი კიური, რომ მათ თანამოაზრე და ხელშემწყობი ქმრები არ ყოლოდათ, არა თუ მთელი ქვეყნისთვის, თავისი ქალაქისათვისაც კი

უცნობი იქნებოდნენ. ვილგელმი რეაქციონური შეხედულებისა იყო ქალებზე და ამბობდა, რომ ქალს უნდა ახსოვდეს სამი კ. (ე.ი. ეკლესია, საბავშვო ოთახი და სამზარეულო — ნემეცურათ ყველა ამათი სახელი კანზე იწყება). მისმა ქალიშვილმა უპასუხა: მამა, ნუ დაგავინწყდება მეოთხე კ, ესე იგი, კონსტიტუციაო. ამით იმან მოაგონა თავის მამას, რომ ქალი პოლიტიკაშიაც უნდა იღებდეს მონაწილეობასო. დღეს ვილგელმმა შესცვალა თავისი აზრი ქალზე და სხვანაირად მსჯელობს. ქალები არასოდეს არ ამბობდნენ უარს თავის მოვალეობის ასრულებაზე. თუ მოვალეობის გახსენება სჭირია ვინმეს, ეს უფრო მამაკაცს, რომელიც ხშირად გვერდს უვლის თავის დანიშნულებას და ბოროტათ ხმარობს მას. ქალს, როგორც აღმზრდელს ყოველმხრივ ესაჭიროება განვითარება და თუ ის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ გაერია, ამ მხრივ იქნება მოუზადებელი და ვერ ჩაუნერგავს თავის შვილს მოქალაქურ გრძნობას და მოვალეობას. განა კორნელია გრაკსს შეეძლო გაეზარდა თავისი ვაჟები თავდადებული ხალხ-

ქალთა მოძრაობის ისტორიიდან

მეცხრამეტე საუკუნეში ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა დემოკრატიზაციამ ცოტად თუ ბევრად ფრთა შეაკვეცა ხეობულ ძალის ბატონობას და სამართლიანობის პრინციპს სახელმწიფოში უფრო მეტი ადგილი და მნიშვნელობა მისცა, ვიდრე მას ჰქონდა წინა საუკუნეებში. ამ დემოკრატიზაციამ დიდი ცვლილება და გაუმჯობესება შეიტანა დედაკაცის მდგომარეობაში. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებამ ალაგ-ალაგ უტოპისტების მოლოდინსაც კი გადააჭარბა და ზოგიერთ სახელმწიფოში (ამერიკის ზოგიერთ შტატებში, ავსტრალიის ფედერაციაში) ქალებსაც ისეთივე პოლიტიკური უფლებანი მიანიჭა, როგორც მამაკაცებს.

დედაკაცის მდგომარეობის ისტორიას რომ თავალი გადავავლოთ, ნათლად დავინახავთ, რომ დღემდის მიზეზი დედაკაცის დაბეჩავებისა იყო უფლება ძლიერისა. ძლიერის უფლება არც დღეს მოსპობილა და არც ამ ახლო მომავალში მოისპობა. მაგრამ ის კი ცხადია, რომ თანდათან სამართლიანობა ამარცხებს ძალის უფლებას და, იმედია, ერთ დროს სრულიად მოსპობს მას.

პირველი სერიოზული აგიტაცია ქალთა სასარგებლოდ ეკუთვნის დიდებულ საფრანგეთის რევოლუციას. ამერიკის განმათავისუფლებელ მოძრაობის მაგალითით აღფრთოვანებულმა საფრანგეთის ქალმა კარგად ისარგებლა რევოლუციის დროს საერთო გატაცებით და ხმამაღლა მოითხოვა თავისი ადამიანური უფლებანი. დედაკაცებიც აჰყენენ მამაკაცების მაგალითს და შეადგინეს საკუთარი „დეკლარაცია დედაკაცის უფლებათა“, დაარსეს საკუთარი კლუბი და ენერგიულად შეუდგნენ აგიტაციას. ქალთა მოძრაობას მხარს უჭერდა იმ დროის შესანიშნავი ფილოსოფოსი კონდორსე, რომელიც მის შესახებ სწერდა: „რომელ პრინციპისა და რომელ უფლების ძალით სჩაგრავენ დედაკაცს რესპუბლიკურ სახელმწიფოში? საერო წარმომადგენლობა ნიშნავს მთელი ერის წარმომადგენლობას. მაგრამ განა დედაკაცი ერის ნაწილი არ არის? ლაპარაკობენ, ვითომ დედაკაცებისა და მამაკაცების პოლიტიკური გათანაბნობა დედაკაცს ოჯახს მოაშორებსო. შორიდან ეს საბუთი თითქო მართალია, მაგრამ ნამდვილად იგი ერთ გროზადაც არა ღირს. ეს საბუთი სრულიად არ შეეხება იმ ქალთა აუარებელ ჯარს, რომელიც არც გათხოვილნი არიან და არც საკუთარი ოჯახი აქვთ. მაგრამ თუ ზემოხსენებულ საბუთს სამართლიანად ვაღიარებთ, მაშინ ამავე საბუთის ძალით ქალებს უნდა აუფრთხილოთ მოსამსახურეობა და ვაჭრობა-მუშაობა, რადგან ვაჭრობაც და ქარხნებში მუშაობაც, ქალს საკუთარ ოჯახს აშორებს!“

ნაპოლეონის დროს ქალთა მოძრაობა მიყუჩდა, ხოლო რესტავრაციამ იგი თითქმის სულ მოსპო. წარსულ საუკუნის შუა წლებში, ეგრედ წოდებულ ქალთა ემანსიპაციის ხანაში, ლიტერატურაში ხელახლად აღიძრა ქალთა მოძრაობაზე ლაპარაკი. მწერალი ქალი ჟორჟ ზანდი, ლაბულე და ლეგუვე მძლავრი დამცველები იყვნენ დედაკაცის უფლებისა. მაგრამ მეორე რესპუბლიკის დროს, ნაპოლეონ III-ის გავლენით, ისევ მიყუჩდა აგიტაცია ქალთა სასარგებლოდ. მეორე იმპერიის დროს ქალთა მოძრაობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ დაარსდა რამდენიმე საქალეო „კურსები“ (ეხლანდელი გიმნაზიები), რომელთაც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანეს საფრანგეთის ქალებს, რომელნიც იმ დრომდის მხოლოდ იეზუიტურ მონასტრებში იღებდნენ განათლებას.

ინგლისს პირველობა ეკუთვნის ქალთა მოძრაობის ისტორიაში. ჯერ კიდევ მე-XVII საუკუნეში „რობინზონ კრუზოს“ ავტორმა დანიელ დეფოიმ გამოსცა შესანიშნავი პამფლეტი ქალების უფლებათა დასაცავად, რომელმაც დიდი აყალ-მაყალი და მითქმა-მოთქმა ასტეხა მთელ ინგლისში. მას აქვთ მოძრაობა ხან სუსტდებოდა და ხან ძლიერდებოდა, მაგრამ გარკვეული კალაპოტი მიიღო მხოლოდ წარსულ საუკუნის მეოცე წლებში, როდესაც, ხანგრძლივ რეაქციის შემდეგ, ლიბერალიზმმა გაიმარჯვა და ქალთა საკითხიც ხელმეორედ გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. მესამოცე წლებში ქალთა მოძრაობა გამარჯვების გზას დაადგა; გამოვიდა სპეციალური ჟურნალი, რომელიც დღესაც გამოდის, და დაარსდა კერძო საქალეო სასწავლებლები. მე70 წლებში დაარსდა უმაღლესი საქალეო სასწავლებლები, განსაკუთრებული საზოგადოებანი, რომელთაც სქესთა პოლიტიკურ თანასწორობის მოპოვება ჰქონდათ მიზნად, და საზოგადოებრივი აზრი შესამჩნევად გადახარა ქალებისაკენ. ქალთა მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა განთქმულმა ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა ჯონ სტიუარტ მილმა, რომელიც ლონდონის საქალეო საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლებოდა. მეოთხმოცე წლებში ქალთა მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. გათხოვილ ქალების უფლებები გაფართოვდა, საზოგადოებრივ და ადგილობრივ დაწესებულებებში დედაკაცებმაც შესდგა ფეხი.

ამერიკაში ქალთა მოძრაობამ პირველად თავი იჩინა განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს. ამერიკის განთქმულ რევოლუციაში დედაკაცს დიდი წილი უდევს. რევოლუციის გათავების შემდეგ, როდესაც დაიწყო ხანა ალორძინებისა და სახელმწიფოს მოწყობისა, ქალები არ დაივიწყა მხოლოდ ნიუ-ჯერსის შტატმა,

რომელმაც საერთო წარმომადგენელთა არჩევაში დედაკაცსაც ისეთივე უფლებები მიანიჭა, როგორც მამაკაცს ჰქონდა. სხვა შტატები ასე შორს არ წავიდნენ და ცოტაოდენ რეფორმებით ჩააჩუმეს ამერიკელი ქალები. მხოლოდ ეს იყო დროებითი ჩაჩუმება, ვინაიდან ქალთა მოძრაობა ამერიკაში შემდეგაც არ დამცხრალა. გამუდმებულ ბრძოლით ამერიკელმა ქალმა XIX საუკუნეში ისეთი უფლებები მოიპოვა და იმდენად გაუმჯობესა თავისი მდგომარეობა, რომ ევროპელი ქალი გაცილებით შორს ჩამორჩა მას და დღესაც ვერ დასწევია თავის ამხანაგს.

სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ დედაკაცის მოქალაქეობრივი უფლებანი, რომელნიც შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვა და სხვა სახელმწიფოებში. მარტო გერმანიის კანონმდებლობამ შეიმუშავა ასამდე მაგალითი ქონებრივ ურთიერთობისა მეუღლეთა შორის. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ წარსულ საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგამდის დედაკაცი გათხოვების შემდეგ ჰკარგავდა ყოველგვარ უფლებას. იმ დროს ინგლისში ქმარი და ცოლი იურიდიულ ერთეულს წარმოადგენდნენ. ქმარს ნება არ ჰქონდა ცოლისთვის ეჩუქებინა რამე, ან რაიმე ხელშეკრულება დაედო მასთან, რადგან თავის თავთან ხელშეკრულების დადება არ შეიძლებაო. თუ ქალი გათხოვებამდის ვალს დაიდებდა, გათხოვების შემდეგ ეს ვალი ქმარს უნდა გაესტუმრებინა. ერთის სიტყვით ცოლის პიროვნება იურიდიულად გაუქმებული იყო ქმრის უფლებებით. შემდეგში, 1870 და

1882 წლების კანონებით, დედაკაცის მდგომარეობა ინგლისში არსებითად შეიცვალა. ის კანონები, რომელიც დედაკაცის უფლებებს ზღუდავდნენ, თანდათან გააუქმეს და ქმარიანი დედაკაცი ქმრის მზრუნველობისგან განათავისუფლეს. საგულისხმო ის არის, რომ დედაკაცი არა თუ განათავისუფლეს, - ქმართან შედარებით, უპირატესობის მქონეც გახადეს. მაგალითად: თუ გასათხოვარმა ქალმა ვალი დაიდო, გათხოვების შემდეგ მისი ქმარი მოვალეა ეს ვალი გაისტუმროს. ამავე დროს თუ ქმარს ვალი დაედო, მევალე იმის ცოლის ქონებას ხელს ვერ ახლებს, თუნდაც



დამტკიცდეს, რომ ვალი ოჯახის საჭიროებისთვის იყო აღებული, მაშასადამე, ცოლიც სარგებლობდა ნასესხით.

ასევე შესამჩნევი ცვლილებები მოხდა ამერიკისა, ავრსტრალიისა, კანადისა, შვეიცარიისა და იტალიის დედაკაცთა მდგომარეობაში. უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში ყველგან დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ დედაკაცმა და შესამჩნევად გააუმჯობესა თავის სასარგებლოდ კანონები შესახებ ქონებრივ ურთიერთობისა მეუღლეთა შორის.

აგიტაცია დედაკაცის პოლიტიკურ უფლებების შესახებ ყველაზე ადრე იხვეწის ინგლისში პარლამენტმა განიხილა ჯონ სტიუარტ მილლის მიერ შეტანილი წინადადება ქალთა პოლიტიკურ უფლებების შესახებ და 196 ხმის უმეტესობით წინამდებე 73 ხმის უარყო იგი. 1892 წელს პარლამენტმა ხელმეორედ განიხილა ეს საკითხი და ისევ უარყო ქალთა უფლების გაფართოვება, მაგრამ ქალთა მომხრე აღმოჩნდა 179 კაცი, წინააღმდეგი კი მხოლოდ 202. 1897 წელს პარლამენტი მესამედ დაუბრუნდა ამ საკითხს. კანონპროექტის ხელმეორედ გადასინჯვის დროს უმეტესობამ 71 ხმით მიიღო ბილი, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო, კანონპროექტის მესამედ წაკითხვა არ მოხდა და ბილი კანონად ვერ გადაიქცა. ინგლისელი ქალი დღესაც მონაწილეობას არ იღებს საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ სხვა გვარად სასოფლო, სამოქალაქო და საგრაფოების არჩევნებში იგი მამაკაცთან გათანასწორებულია. მას მინიჭებული აქვს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, ე. ი. შეუძლიან აირჩიოს და არჩეულ იქნას. ეჭვს გარეშეა, რომ დღეს თუ ხვალ ინგლისელი ქალი პოლიტიკურად ყოველ მხრივ გაუთანასწორდება მამაკაცს და პარლამენტში ისეთსავე ძალას მოიპოვებს, როგორც დღემდის მამაკაცებს ეკუთვნოდა.

ამ მხრით ინგლისს არც ნორვეგია ჩამორჩება. ნორვეგიელ

ქალს შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს მრავალ სამოქალაქო და საზოგადოებრივ დაწესებულების არჩევნებში. პარლამენტმა რამდენჯერმე განიხილა საკითხი შესახებ იმისა, რომ დედაკაცსაც მიეცეს უფლება პარლამენტის (სტორტინგის) არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და ხმის უმეტესობით დაადგინა დედაკაცის და მამაკაცის პოლიტიკურ უფლებების გათანასწოლება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება კანონად ვერ გადაიქცა, რადგან ნორვეგიის კონსტიტუციით ასეთ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა პარლამენტის 2/3-ის თანხმობა.

ამ საქმეში საფრანგეთი და გერმანია ძალიან ჩამორჩნენ ინგლისსა და ნორვეგიას. გერმანიაში კანონით დედაკაცს პოლიტიკურ კრებებსა და მიტინგებზე დასწრებაც კი აკრძალული აქვს.

ქალთა უფლებების გაფართოვების მხრივ ყველა ქვეყნებს წინ გაუსწრო ავსტრალიის ფედერაციამ. 1893 წელს ავსტრალიის ქალებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა პარლამენტის წევრთა არჩევნებში და პირველადვე აჯობეს მამაკაცებს: არჩევნებს დაესწრო ქალების 90%, ხოლო მამაკაცებისა 70%. საგულისხმო ის არის, რომ ქალების მონაწილეობამ არჩევნებში არაფრით არ შესცვალა ავსტრალიის პოლიტიკური ცხოვრება და ოთხჯერ მომხდარი არჩევნები (1893, 1896, 1899, 1902 წ.) იმავე ლიბერალურ მთავრობის სასარგებლოდ გათავდა, რომელმაც პოლიტიკური თანასწორობა მიანიჭა ავსტრალიის ქალებს. 1900 წელს, როდესაც ავსტრალიის კოლონიებმა ფედერაცია შეადგინეს, ქალებს, საფედერაციო დეპუტატების გარდა, საფედერაციო სენატის წევრთა არჩევის უფლებაც მიეცათ. ასე გადანწყვიტა საკითხი ქალთა პოლიტიკურ უფლებების შესახებ თანამედროვე სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო დემოკრატიულმა ავსტრალიამ.

გაზ. „ივერია“ 1906 წ.

გამოიწა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ფინანსური დახმარებით; საგაზეთო ჩანართში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალურ პოზიციას

British Embassy Tbilisi
UKaid from the British people
Empowered lives. Resilient nations.